საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N19

ქ.თბილისი

25.07.2014

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
მაია ჩიხლაძე - შპს - საზოგადოებრივ კოლეჯ „პანაცეას"დირექტორის მოადგილე, მედიცინის დოქტორი; საბჭოს მდივანი;
ირაკლი მაჩაბელი - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი; სხდომის თავმჯდომარე;
ზაზა მარუაშვილი - შპს - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა გაფრინდაშვილი - ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
დავით კახნიაშვილი - საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის" დირექტორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ელენე ჯიბლაძე - დირექტორი;
გიორგი ცხვედიანი - აკრედიტაციის სამმართველოს უფროსი;
ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს უფროსი;
თამარ აფრასიძე - აკრედიტაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;
ლიკა გიორგაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი.

აკრედიტაციის ექსპერტები:

მანანა ხაჩიძე;
გოჩა გოგიტიძე;
ნინო ჯოჯუა;
ვასილ კიკუტაძე;
დავით ბოსტოღანაშვილი;

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

რევაზ ზედგენიძე;
მალხაზ ლომსაძე;
დავით ხობელია;
გალა ცქვიტინიძე.

შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლალი ხვედელიძე;
ქეთევან გოლეთიანი.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ელგუჯა მეძმარიაშვილი;
გიორგი ძიძიგური.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

თამარ ვეფხვაძე;
ნატალია ბარათელი;
დარეჯან თვალთვაძე;
დარეჯან გარდავაძე;
ვახტანგ ლიჩელი.

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ნინო ჟვანია;
დავით ოთიაშვილი;
ლელა სტურუა.

შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:

ლაშა კანდელაკიშვილი;
მაია ხურცილავა.

შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის"წარმომადგენლები:

ხათუნა ამაღლობელი;
მზია ქათამაძე.

სხდომა დაიწყო 15:13 სთ-ზე, საბჭოს მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა ოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.საბჭოს მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან. თავმჯდომარისა და მისი მოადგილის არყოფნის გამო, სხდომის თავმჯდომარედ აირჩიეს ირაკლი მაჩაბელი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:

1.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა.
5.შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10.სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
13.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
14.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
15.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
16.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
17.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება, ან ხომ არ ჰქონდათ დღის წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შუამდგომლობა. ნანა გაფრინდშვილმა განაცხადა თვითაცილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებით, დაწესებულებასთან თანამშრომლობის გამო.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს და სთხოვა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშებსა და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფების დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. მხარეებმა დაადასტურეს, რომ აღნიშნულ დოკუმენტაციას იცნობდნენ.

1.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა;

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს გააცნო ექსპერტმა დავით ბოსტოღანაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მონიტორინგის საფუძველი გახდა ხუთი პროფესორი, რომელთაც არ უდასტურდებოდათ კვალიფიკაცია, პროგრამის შედეგები და მიზნები ერთმანეთს ემთხვეოდა და საგანი, რომელიც სავალდებულო უნდა ყოფილიყო, არჩევით მოდულში იყო. მონიტორინგის ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა პროფესორთა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ყველა წესის დაცვით შესწორდა პროგრამაში არსებული ხარვეზები და ექსპერტის თქმით, პროგრამა უკვე აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს.

2.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

3.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-4 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

4.სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვეტერინარული მომსახურების სპეციალისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა, გიორგი ცხვედიანმა და აღნიშნა, რომ ვეტერინარული მომსახურების სპეცილაისტის პროგრამის სამივე საფეხურის (მე-3, მე-4, მე-5) რეკომენდაციები, რაც შემდგომ მონიტორინგის საფუძველი გახდა, იდენტური იყო. ნაწილი რეკომენდაციებისა გათვალისწინებულ იქნა მონიტორინგის ვიზიტამდე, ნაწილი - ვიზიტის პერიოდში. საბოლოოდ, ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ.

5. შპს - ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის სატრანსპორტო ლოგისტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა გოჩა გოგიტიძემ და დეტალურად განიხილა ყველა რეკომენდაცია, რაც მონიტორინგის საფუძველი გახდა:

რეკომენდაცია N1 დაწესებულებას არ გაუთვალისწინებია რადგან თვლიდა, რომ დაწესებულების მიერ გამოცემული დოკუმენტი: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება“, რომლის შემადგენელი ნაწილი იყო „სწავლის მეთოდოლოგია (სწავლისა და სწავლების მეთოდების გზამკვლევი) შეიცავდა მეთოდების აღწერას და შინაარსს. სტუდენტებისათვის გზამკვლევი ხელმისაწვდომი იყო ვებ გვერდის საშუალებით.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა სილაბუსში იყო თუ არა მითითეული მეთოდები. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსებში ყველა პროფესორს მითითებული ჰქონდა მეთოდოლოგია, რომელსაც გამოიყენებდა კურსის ფარგლებში, თუმცა ამა თუ იმ მეთოდოლოგიის აღწერას სტუდენტები გაეცნობოდნენ მათთვის განკუთვნილ გზამკვლევში.

რეკომენდაცია N2 დაწესებულებას არ გაუთვალისწინებია პირველ ნაწილში, რადგან მიიჩნია, რომ „სასწავლო ლოგისტიკური სისტემების ორგანიზაციის“ სილაბუსით გაცხადებული დასკვნის უნარის - „აქვს რთული და არასრული ინფორმაციის, მათ შორის უახლესი კვლევების, კრიტიკული ანალიზის საფუძველზე ლოგისტიკური პრობლემების გამოვლენის და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი“ მიღწევა შესაძლებელი იყო სიალბუსში მითითებული ძირითადი (2 წიგნი) და დამატებითი (3 წიგნი) ლიტერატურის საშუალებით; ასევე არ გაითვალისწინა რეკომენდაცია მეორე ნაწილში, რადგან თვლიდა, რომ სილაბუსებით ვერ დადგინდებოდა შინაარსობრივი მსგავსება. არც

ერთ სილაბუსში არ იყო მითითებული თემები და ორივე წარმოადგენდა „ნიმუშს“ და კვლევითი ნაშრომის სილაბუსი ავითარებდა იმ უნარებს, რომელთა გამოყენებით სრულდებოდა სამაგისტრო ნაშრომი; ხოლო მესამე ნაწილში დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და „თემასთან და ცალკეული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზებთან დაკავშირებული ორიგინალური იდეების შემუშავების უნარი“ ნაცვლად „ცოდნა-გაცნობიერების უნარისა“ გადაიტანა „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარში“.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სილაბუსში მითითებული სამი ლიტერატურაც საკმარისი იყო თუმცა ვერ იყენებდნენ ძირითად ლიტერატურად რადგან, რუსულენოვანი იყო. გათალისწინებულ იქნა რეკომენდაციის მესამე ნაწილი.

რეკომენდაცია N3 დაწესებულების მიერ გათვალისწინებულ იქნა: სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „სატრანსპორტო ლოგისტიკა“ კურიკულუმს წინაპირობაში დაემატა ჩანაწერი, რომელშიც მოცემული იყო ინგლისური ენის ცოდნის დამადასურებელი დოკუმენტის ჩამონათვალი, რომელთა მფლობელს არ მოეთხოვებ ოდა შიდა გამოცდის ჩაბარება ინგლისურ ენაში.

რეკომენდაცია N4 დაწესებულებას არ გაუთვალისწინებია და არ ეთანხმებოდა, რადგან თვლიდა, რომ ორივე სილაბუსის მიზანში, ფორმატში და შედეგებში მითითებული იყო, რომ დაზუსტდებოდა კვლევითი ნაშრომის თემის შესაბამისად. ნაწილობრივ კი ერთნაირი იქნებოდა, რადგან ის უნარები, რომელიც იქნებოდა მიღწეული კვლევითი ნაშრომის შესრულებისას, გამოიყენებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული სილაბუსების მიზანი და შედეგი ნაწილობრივ ერთნაირი იქნებოდა, რადგან ის უნარები, რომელიც იქნებოდა მიღწეული კვლევითი ნაშრომის შესრულებისას, გამოყენებული იქნებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების დროს.

რეკომენდაცია N5 დაწესებულებას არ გაუთვალისწინებია, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების წესდებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილებით დამტკიცებული აკადემიური თანამდებობის დაკავების წესის შესაბამისად, დასაშვები იყო აკადემიური თანამდებობის დაკავება პროფესიული ნიშნით კომპეტენტური პირის მიერ, აღნიშნულ პროგრამაზე ეს შეღავათები არ იყო გავრცელებული და აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია არ ეხებოდა ლოგისტიკის ფაკულტეტს, შესაბამისად სატრანსპორტო ლოგისტიკის პროგრამისთვის არ იყო გაწერილი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად რეკომენდაციაში აღნიშნული კრიტერიუმები.

დაწესებულების განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხებოდა ამ პროგრამას. რადგან პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალიდან ყველას ჰქონდა აკადემიური ხარისხი.

რეკომენდაცია N6 დაწესებულების მიერ გთვალისწინებულ იქნა: არჩევითი კომპონენტის გაზრდის მიზნით, საწარმოო პრაქტიკის კრედიტების შემცირებით, პროგრამაში დაემატა არჩევითი საგანი „საავტომობილო გადაზიდვების ორგანიზაცია და მართვა“.

ზაზა მარუაშვილი დაინტერესდა საწარმოო პრაქტიკის კრედიტების შემცირება რის ხარჯზე მოხდა. რაზეც უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ კრედიტების შემცირება საკონტაქტო საათების ხარჯზე არ მომხდარა, შემცირდა მხოლოდ არასაკონტაქტო საათების ხარჯზე.

რეკომენდაცია N7 დაწესებულება არ დაეთანხმა და არ გაუთვალისწინებია. რადგან, თვლიდნენ, რომ თუ რომელიმე სავალდებულო საგანს არ გაივლიდა სტუდენტი იგი არ დაიშვებოდა სამაგისტრო ნაშრომის კურსისზე. სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობა იყო 4 წლის განმავლობაში ყველა სავალდებულო ნაშრომი.

რეკომენდაცია N8 დაწესებულება არ დაეთანხმა, რადგან თვლიდა, რომ პრაქტიკა იგეგმებოდა მაგისტრანტებითვის მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისად, სამაგისტრო თემებიც შეთავაზებული იყო მხოლოდ მისანიჭებელი კვალიფიკაციის გათვალისწინებით და პრაქტიკაზე მაგისტრანტი აგროვებდა იმ მასალას, რომელიც სჭირდებოდა სამაგისტრო ნაშრომის შესასრულებლად.

რეკომენდაცია N9 დაწესებულებას არ გაუთვალისწინებია, რადგან თვლიდა, რომ ჯგუფში მუშაობის ფორმატი შეიცავდა პრაქტიკულ მუშაობას, რაც შეეხება საკონტაქტო საათების 4-მდე გაზრდას დაწესებულებათვლის, რომ დაგეგმილი კომპეტენციების მიღწევა შესაძლებელი იყო 3 საკონტაქტო საათის საშუალებით.

რეკომენდაცია N10 დაწესებულებამ გაითვალისწინა: სამაგისტრო პროგრამაში შემავალი ინგლისური ენის სასწავლო კურსის სილაბუსში შედეგები გაწერილ იქნა CERF ჩარჩოთი გათვალისწინებული 4 ენობრივი უნარის წერა/კითხვა/ საუბარი შესაბამისად.

6.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამხედრო ინჟინერიის სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

7.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აგრობიზნესის მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

8.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მენეჯმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვა

მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ჯოჯუამ რომელმაც აღნიშნა, რომ დაწესებულებას გათვალისწინებული ჰქონდა ყველა რეკომენდაცია და ცვლილებები დამტკიცებული სათანადო წესის დაცვით. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა პროგრამებზეც.

9.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის დოქტორი პალეოანთროპოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1115; 1116
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა პოზიცია საბჭოს გააცნო ცენტრის წარმომადგენელმა ლევან მადათოვმა, რომელმაც აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითი იყო, პროგრამა სხვა სახელწოდებით უკვე იყო აკრედიტებული, ამ შემთხვევაში მოხდა პალეოანთროპოლოგიის მოდულის დამატება. ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არ ჰქონია.

ზაზა მარუაშვილმა გააკეთა კომენტარი, რომ იცნობდა თავდაპირველ აკრედიტებულ პროგრამას და ახალი პროგრამაც იყო ერთ-ერთი საუკეთესო სადოქტორო პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელი გამოეხმაურა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ თავის დროზე სწორედ მისი რეკომენდაციების გათვალისწინების შედეგად მიიღეს აღნიშნული პროგრამა.

10. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ადიქციის კვლევები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ადიქციის კვლევების (ადიქტოლოგიის) მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1119
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები გიორგი ცხვედიანმა წარადგინა:

- სასურველია პროგრამაზე მიღების წინაპირობები უფრო მკაფიოდ იყოს ჩამოყალიბებული ინგლისური ენის კომპეტენციის აპლიკანტის მხრიდან დადასტურების წესი;

- სასურველია სილაბუსებში მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურიდან შესაბამისი ლექტორის კონსპექტის (რიდერის) შემუშავება და ქართულ ენაზე სტუდენტებისათვის შეთავაზება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ჟვანიამ განაცხადა, რომ იზიარებდა რეკომენდაციებს და უკვე მუშაობდნენ აღნიშნულ საკითხებზე - იგეგმებოდა ინგლისური ენის დადასტურება, ხოლო ლიტერატურასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ უახლესი მასალები ჰქონდათ და რიდერებიც შექმნის პროცესში იყო.

15:50 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 16:35 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის პირველ ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგია-პალეოანთროპოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 4; წინააღმდეგი-0);
- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭომ იმსჯელა დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმების მიზნით განხორციელებული მონიტორინგის შედეგების განხილვისას გამოვლენილ გარემოებებზე და მიიჩნია, რომ აკრედიტაციის სტანდარტები არ იყო დარღვეული, შესაბამისად საგანმანათლებლო პროგრამებს შეუნარჩუნდათ აკრედიტაცია.

11.შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	კომპიუტერული ქსელები და სისტემები
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	04
კრედიტების რაოდენობა	240

12. შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	პროგრამირება და ვებ დეველოპმენტი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინჟინერიის ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	04
კრედიტების რაოდენობა	240

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარმოადგინა ექსპერტმა მანანა ხაჩიძემ და აღნიშნა, რომ ექსპერტიზის ფარგლებში გამოვლენილ იქნა მცირე უზუსტობები, რაც ვიზიტის მიმდინარეობის დროს გამოსწორდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციები ორივე პროგრამისთვის იდენტური იყო და ერთად განიხილავდა, წაიკითხა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაში შემავალი საგნების შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას, მაგრამ რიგი საგნების სათაური და შინაარსი საჭიროებს მეტ შეჯერებას, მაგალითად, საგანი „საოფისე პროგრამები“ შინაარსით შეესაბამება „კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს“, საგანი „დაპროგრამების საფუძვლები C, C++” შინაარსით შეესაბამება „დაპროგრამების საფუძვლები C++”, „კომპიუტერული გრაფიკა PhotoShop“ – „კომპიუტერული გრაფიკის ინსტრუმენტები PhotoShop“ და სხვა.
- რიგ დისციპლინებში ძირითად ლიტერატურად მითითებულია ინგლისურენოვანი სახელმძღვანელოები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ პროგრამაში ინგლისური ენის შესწავლას ეთმობა 30 კრედიტი (პირველი სემესტრიდან დაწყებული), საგნებში, სადაც ძირითადი ლიტერატურა მხოლოდ ინგლისურია, უნდა ჩაისვას წინაპირობად „ინგლისური ენა“.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ხურცილავამ დაადასტურა ექსპერტის სიტყვები იმასთან დაკავშირებით, რომ ვიზიტისას აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებულ იქნა.

13.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ ტურიზმის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ტურიზმი
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0205
კრედიტების რაოდენობა	240

აკრედიტაციის ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ პროგრამა დადებითად შეაფასა და წარმოადგინა ექსპერტთ ჯგუფის რეკომენდაციები:

- უნდა შესწორდეს პრაქტიკის წინაპირობა (230 კრედიტის დაგროვება), რაც გამორიცხავს მე-8 სემესტრში საგნებისა და პრაქტიკის გავლას;
- უნდა დაემატოს უცხო ენის საწყისი დონის სილაბუსები, რადგან არ არის დაწესებული შეზღუდვა პროგრამაზე მიღების დროს და შესაძლებელია სტუდენტს არ ჰქონდეს B-1 დონე;
- პროგრამის კომპეტენციები უნდა შეესაბამებოდეს პროგრამაში არსებულ მასალებს. მაგ: დასკვნის უნარში ვკითხულობთ, რომ ტურიზმის საწარმოს ბიზნესგეგმის საფუძველზე გამომუშავდება დასკვნის გაკეთების უნარი, თუმცა აღსანიშნავია, რომ პროგრამაში ტურიზმის საწარმოს ბიზნესგეგმაზე საუბარი საერთოდ არ არის;
- შეფასების სისტემა უნდა მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში, რადგან წერია, რომ გამოცდაზე დაშვების წინაპირობა არის მინიმუმ 21 ქულის დაგროვება, ხოლო დასკვნით გამოცდაზე 15 ან ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე (თუ სტუდენტს აქვს 21 ქულა და გამოცდაზე მიიღო 14, ეს ჯამში არის 35, რაც კანონის მიხედვით, საგნის თავიდან გავლის პირობა და არა განმეორებით გამოცდაზე გასვლის);
- სასურველია, მათემატიკას ეკონომიკასა და ბიზნესში ეწოდოს მათემატიკა ბიზნესში;
- რეკომენდებულია ზოგიერთი საგნის თემატიკის ცვლილება სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე (მაგ: გაუგებარია საგანში ტურიზმის ბიზნესი: შემდეგი თემების თუ საკითხების სწავლება: თემა - ტურიზმის მართვა და საკითხები: ტურისტული საწარმოს მიზნები და ამოცანები; ტურისტული საწარმოს პერსპექტიული ანალიზი; ან თემა - ორგანიზაციული ქცევა ტურიზმში; მასლოუ და ა.შ, რომლებიც ადრე სხვა საგნებში აქვთ განხილული. ანდა, თემა - ფინანსური მენეჯმენტი ტურიზმში: საკითხი - ხაზინის მართვა და ა.შ.);
- სასურველია ზოგიერთი საგნის თემატიკის დახვეწა და უფრო დეტალური აღწერა, რომ არ მოხდეს თემების მიხედვით საკითხების გამეორება: (მაგ: მარკეტინგში ტურიზმის ეკონომიკა, რომელსაც ისედაც ცალკე ასწავლიან; ტურიზმის ეკონომიკაში თემა 4. საინფორმაციო ტექნოლოგიები და 10. ფასწარმოქმნა ტურიზმში, ტურიზმის მარკეტინგში: თემა 8. ფასწარმოქმნა ტურისტული მომსახურების ბაზარზე; ტურიზმის ბიზნესის სილაბუსში თემა 11. მარკეტინგის კონცეფცია ტურიზმის ბიზნესში, სასურველია შეიცვალოს, რადგან სტუდენტი ცალკე სწავლობს მარკეტინგის საფუძვლებს და ცალკე ტურიზმის მარკეტინგს);
- სასურველია, ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითადი და/ან დამხმარე ლიტერატურის ჩამონათვალში დაემატოს მსოფლიოში აღიარებული და ქართულ ენაზე თარგმნილი სახელმძღვანელოები (მაგ. მმართველობითი აღრიცხვა, ატკინსონი);
- მიზანშეწონილია იმ საგნებს, რომლის შესწავლაც შესაძლებელია წინაპირობების გარეშე არ ჰქონდეს მითითებული წინაპირობები (მაგ. ბიზნესის ადმინისტრირება მენეჯმენტის საფუძვლების წინაპირობად, ტურიზმის ეკონომიკა - მიკრო-მაკრო ეკონომიკა, როცა მიკრო ისედაც არიც მაკროს წინაპირობად მითითებული).
- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების არეალის გასაფართოებლად და პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.

- სასურველია, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებში უნივერსიტეტთან არსებული „სტუდენტების მონიტორინგის ავტომატური ელექტრონული სისტემის“ ინტენსიურად გამოყენების მიმართულებით, რაც დაწესებულებას გაუადვილებს ადმინისტრირების პროცესს და კიდევ უფრო ოპერატიულს გახდის სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხს.

ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის პროცესში წარმოდგენილ იქნა ცვლილებების პროექტი, თუმცა ვერ მოესწრო დამტკიცება.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მისცა საშუალება გამოეთქვა მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ დაწერგილი ჰქონდათ ახალი ტექნოლოგიები - მობილური ტურიზმი და ამაში სტუდენტები იყვნენ ჩართული. შედგენილი ჰქონდათ არამხოლოდ საქართველოს, არამედ სხვა ქვეყნის მარშრუტებიც. პროგრამის ხელმძღვანელი თვითონ წარმოადგენდა დამსაქმებელს და პროგრამის შედგენისას ითვალისწინებდა იმას, რომ ტურიზმი ეკონომიკისა და ბიზნესის ნაწილია.

ტურიზმის ბიზნესთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ მხოლოდ ერთი წიგნი იყო მითითებული მეტრეველის ავტორობით და ბიზნესგეგმის საკითხები, როგორც ასეთი, წარმოდგენილი არ იყო. წინაპირობებთან დაკავშირებულ რეკომენდაციას დაწესებულება იზიარებდა.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა განაცხადა, რომ მოცემულ პროგრამას ხმას ვერ დაუჭერდა, რადგან ძირითადი სპეციალობისთვის აუცილებელი 120 კრედიტი ვერ გროვდებოდა და მხოლოდ 107-ს შეადგენდა საგნების კრედიტების ჯამი.

საბჭოს წევრმა, დავით კახნიაშვილმა იკითხა, თუ რატომ გაუჩნდა ექსპერტს რეკომენდაცია პრაქტიკის გაფართოებასთან დაკავშირებით.

ვასილ კიკუტაძემ უპასუხა, რომ გარკვეული დაწესებულებები იყო წარმოდგენილი, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ გარკვეულ წრეს გასცდებოდა.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ დასკვნა პროფესიონალის მიერ იყო დაწერილი, ხოლო დაწესებულების პასუხი არ იყო დამაჯერებელი. ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ განმარტა, რომ რეალობა უკეთესი იყო, ვიდრე ფურცელზე დაწერილი.

საბჭოს წევრებმა ექსპერტს ჰკითხეს, თუ გადიოდა პროგრამა შედეგზე, რაზეც მან უპასუხა, რომ შედეგზე მხოლოდ იმ შემთხვევაში გავიდოდა, თუ სტუდენტი გაივლიდა პრაქტიკას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი მაჩაბელმა ექსპერტთან დააზუსტა 120 კრედიტთან დაკავშირებით, რომ ძირითად სპეციალობაში მხოლოდ 107 კრედიტი გროვდებოდა, ექსპერტმა დაუდასტურა, რომ სხვა დისციპლინებიდან თუ არ აირჩევდა ბიზნეს ადმინისტრირების საგნებს, ისე ვერ გროვდებოდა 120 კრედიტი.

საბჭოს წევრმა, ზაზა მარუაშვილმა განაცხადა, რომ 9 სილაბუსი იყო შესაცვლელი ექსპერტების დასკვნიდან გამომდინარე და ეს ეჭვქვეშ აყენებდა პროგრამის შედეგზე გასვლას.

ვასილ კიკუტაძემ განაცხადა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები გათვალისწინებული იყო.

14.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ:

- უნდა შესწორდეს პრაქტიკის წინაპირობა (230 კრედიტის დაგროვება), რაც გამორიცხავს მე-8 სემესტრში საგნებისა და პრაქტიკის გავლას;
- უნდა დაემატოს უცხო ენის საწყისი დონის სილაბუსები, რადგან არ არის დაწესებული შეზღუდვა პროგრამაზე მიღების დროს და შესაძლებელია სტუდენტს არ ჰქონდეს B-1 დონე;
- შეფასების სისტემა უნდა მოვიდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების N3 ბრძანებასთან შესაბამისობაში, რადგან წერია, რომ გამოცდაზე დაშვების წინაპირობა არის მინიმუმ 21 ქულის დაგროვება, ხოლო დასკვნით გამოცდაზე 15 ან ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე (თუ სტუდენტს აქვს 21 ქულა და გამოცდაზე მიიღო 14, ეს ჯამში არის 35, რაც კანონის მიხედვით, საგნის თავიდან გავლის პირობა და არა განმეორებით გამოცდაზე გასვლის);
- სასურველია, პროგრამის არჩევითი დისციპლინების მოდულიდან ისეთი მენეჯერული დისციპლინები, როგორიცაა ოპერაციული მენეჯმენტის საფუძვლები და პროექტების მენეჯმენტის საფუძვლები, გადმოვიდეს პროგრამის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო დისციპლინების მოდულში, რაც კიდევ უფრო გააძლიერებს მენეჯმენტის მოდულს წარმოდგენილ სტრუქტურაში.
- სასურველია, დაწესებულებამ გააძლიეროს მუშაობა პრაქტიკის ობიექტების არეალის გასაფართოებლად და პროგრამის შემუშავების პროცესში პოტენციური დამსაქმებლების მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად.
- სასურველია, სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გააძლიეროს მუშაობა აკადემიური პერსონალსა და სტუდენტებში უნივერსიტეტთან არსებული „სტუდენტების მონიტორინგის ავტომატური ელექტრონული სისტემის“ ინტენსიურად გამოყენების მიმართულებით, რაც დაწესებულებას გაუადვილებს ადმინისტრირების პროცესს და კიდევ უფრო ასწევს სტუდენტების ინფორმირებულობის ოპერატიულობის ხარისხს.

დაწესებულების წარმომადგენელმა ექსპერტთა ჯგუფს მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ გაითვალისწინეს ცვლილებები შეფასების სისტემაში და ჩაასწორეს, რაზეც საბჭოს წევრმა, ირაკლი მაჩაბელმა უპასუხა, რომ ეს მოთხოვნა ბრძანებით იყო გათვალისწინებული და აქამდეც უნდა ჰქონდათ ჩაწერილი. დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შეცვლილი პროექტი ადგილზევე წარუდგინეს ექსპერტებს და ცვლილების ბრძანება 25 ივლისით თარიღდებოდა.

ირაკლი მაჩაბელმა განაცხადა, რომ ვიზიტის შემდგომ შემუშავებულ დოკუმენტებს/ცვლილებებს საბჭო არ ითვალისწინებდა.

15. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინიტრირების მაგისტრი საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტში
სწავლების ენა	ქართული/ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	020307
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ვასილ კიკუტაძემ:

ექსპერტის თქმით, პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის ქართულ-ინგლისურ ენოვანი კურსი ჰოლანდიის ახალ ევროპულ უნივერსიტეტთან მემორანდუმის საფუძველზე მოქმედებდა. აღნიშნული კურსის გასავლელად აუცილებელი იყო სტუდენტს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი წარმოედგინა.

ექსპერტმა პროექტების მენეჯმენტის კურსში არსებული მცირედი ტერმინოლოგიური ნაკლის შესახებაც აღნიშნა. კერძოდ, ექსპერტმა სიტყვის „მექანიზმების“ სათანადო ადგილას ჩამატების შესახებ გააკეთა მითითება.

საბჭოს წევრი, ზაზა მარუაშვილი სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესით დაინტერესდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ შეფასება არ იყო ერთიანი და ერთჯერადი სახის. მხარემ განმარტა, რომ ნაშრომს რეცენზენტი და სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კომისია აფასებდა. რეცენზენტის შეფასება მაქსიმალური 100 ქულიდან 70 ქულას შეადგენდა, კომისიისა კი - 30 ქულას.

საბჭოს წევრმა დაწესებულებას ნაშრომის წინასწარი დაცვის შესაძლებლობა მოუწონა და ურჩია რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასების კომპონენტი 60 ქულით განსაზღვრულიყო, კომისიას კი 40 ქულით შეეფასებინა. როგორც თავად აღნიშნა, შეფასების არსებული მოდელი სტუდენტს შედეგის გაუმჯობესების საშუალებას არ აძლევდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ამჟამინდელი შეფასების წესის მიხედვით, რეცენზენტიც და კომისიაც სტუდენტის ნაშრომს 70-70 ქულის ფარგლებში აფასებდა, რის შემდეგაც საშუალო ქულის დაანგარიშება ხდებოდა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასებაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 35 ქულას უტოლდებოდა.

16.შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ფილოლოგიაში
სწავლების ენა	ქართულ-ინგლისური
კვალიფიკაციის კოდი	1005
კრედიტების რაოდენობა	240

ექსპერტის გამოუცხადებლობის გამო, რეკომენდაციები საბჭოს ცენტრის წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ გააცნო:

- სასურველია დაიხვეწოს ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა და დადგინდეს ენის ცოდნის კომპეტენციების მინიმალური ბარიერი ან პროგრამაში გათვალისწინებულ იქნეს ინგლისური ენის დაუფლება სტუდენტმა დაიწყოს საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩო სტანდარტით გათვალისწინებული A2 დონიდან მაინც, ნაცვლადB1-სა, რათა პროგრამა მორგებული იყოს სხვადასხვა ენობრივი კომპეტენციების მქონე სტუდენტზე;
- წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამაში შეთავაზებულია მაინორ პროგრამა უნივერსიტეტში არსებული სხვა სპეციალობებიდან. ექპერტთა მოსაზრებით, უმჯობესი იქნებოდა, მაინორ პროგრამასთან ერთად ალტერნატივად შეთავაზებული ყოფილიყო ინგლისური ფილოლოგიის დარგობრივი სასწავლო კურსებიც, რაც გაზრდიდა სტუდენტებისთვის თავისუფალი არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა;
- სასურველია, დაზუსტრდეს ზოგიერთი სასწავლო კურსის ფარგლებში (მაგ.: ინგლისური ენა საერთაშორისო ურთიეთობებისთიოს - მეექვსე სემესტრი) გამოყენებული ძირითადი ლიტერატურით გამომუშავებული ენობრივი კომპეტენციების დონის შესაბამისობა იმავე სემესტრში შეთავაზებულ სხვა კურსების (ინგლისური ენა6 –advanced C1.1) შედეგებთან მიმართვებაში, რათა ერთად შეთავაზებული სასწავლო კურსები თანაბარი დონის კომპეტენციების განვითარებას ემსახურებიდეს;
- პროგრამა მოიცავს თავისუფალ პომპონენტს 10 კრედიტის მოცულობით, რაც გათვალისწინებულია სწავლების მე-2 და მე-7 სემესტრებში. ექპერტთა მოსაზრებით, სტუდენტთა თავისუფალი არჩევანისთვის უმჯობესია, თუ კი არ იქნება დაკონკრეტებული თავისუფალი კომპონენტების სემესტრი;
- სასურველია, საბაკალავრო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, ინგლისური ლიტერატურის შემსწავლელი სასწავლო კურსები (შუა საუკუნეების და აღორძინების ხანის ინგლისური ლიტერატურა, მე-17 და მე-19 საუკუნის ინგლისის ლიტერატურის ისტორია, მე-19 საუკუნის ამერიკის ლიტერატურის ისტორია) წაკითხულ იქნას ინგლისურ ენაზე, რადგან პროგრამაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის კომპეტენციის მაღალი სტანდარტი;
- უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული მემორანდუმებიდან ჩანს, რომ ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრანმის ფარგლებში ინტერნაციონალიზაციის კუთხით ხორციელდება აქტივობები, თუმცა სასურველია, რომ ეს კონტაქტები კიდევ უფრო გაიზარდოს და გაფართოვდეს;
- ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ პროგრამის განვითარების მიზნით სასურველია გაიზარდოს პროგრამით დაინტერესებული დამსაქმებლის რაოდენობა და მათი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გაცნობის პროცესში შეხება ჰქონდა ეროვნულ სასწავლო გეგმასთან, მისი თქმით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებული იყო მოსწავლეს 2 უცხო ენა სათანადო დონეზე შეასწავლოს. მხარემ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებულ რეკომენდაციას ვერ გაიზიარებდა, მეორე პუნქტს კი ეთანხმებოდა და ითვალისწინებდა.

ცენტრის წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ საბჭოს განუმარტა ექსპერტის თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, იმ სტუდენტებისთვის, ვისთვისაც ინგლისური ენა სავალდებულო არ იყო, უმჯობესი იქნებოდა ენის შესწავლა A1 დონიდან დაეწყოთ, რადგან, შეიძლებოდა პროგრამაზე აღმოჩენილიყო სტუდენტი, რომელიც სკოლაში სხვა უცხო ენას ეუფლებოდა.

საბჭოს წევრი, ნანა გაფრინდაშვილი აღნიშნულ არგუმენტს შეეწინააღმდეგა. განაცხადა, რომ მისთვის რთული იყო წარმოედგინა სტუდენტი, რომელიც ინგლისური ენის ცოდნის ნულოვანი დონით ინგლისურ ფილოლოგიაზე ჩააბარაბდა. ცენტრის წარმომადგენელმა პასუხად განმარტა, რომ ზემოთ აღნიშნული რეკომენდაცია მხოლოდ არსებული მიდგომის ალტერნატივის შეთავაზებას გულისხმობდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მეორე რეკომენდაციის გათვალისწინებისას დაწესებულება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს ეყრდნობოდა. მხარემ დაადასტურა, რომ დაწესებულება ნამდვილად 600 სტუდენტს ემსახურებოდა და ყველა სტუდენტთან უშუალო კომუნიკაცია ჰქონდა.

ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა ექსპერტის მიერ გაწეული რეკომენდაცია არჩევითობის ხარისხის ზრდასთან დაკავშირებით, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელს, საკუთარი შეხედულებიდან გამომდინარე, აღნიშნული კუთხით ცვლილება არ განუხორციელებია.

მხარემ აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ გაცემული რიგით მე-3 რეკომენდაცია ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის წინაპირობას გულისხმობდა, რაშიც ექსპერტს ვერ დაეთანხმებოდა. ამას გარდა, დაწესებულების წარმომადგენლები თავისუფალ კომპონენტებთან დაკავშირებულ მითითებებსაც არ ეთანხმებოდნენ, ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციებს კი ნაწილობრივ იზიარებდნენ.

დაწესებულების წარმომდგენელმა აღნიშნა, რომ მე-19 საუკუნის ამერიკის ლიტერატურის ისტორია შესაძებელია, უკვე უცხო ენაზე იქნას წაკითხული და ამასთან დაკავშირებით, კადრების შესარჩევად დაწესებულება კონკურსის გამოცხადებას აპირებდა.

მხარემ წუხილი გამოთქვა ფაქტის შესახებ, რომ ინტერნაციონალიზაციასთან დაკავშირებული პრობლემის წინაშე ყველა სასწავლებელი იდგა, გარდა იმ დაწესებულებისა, რომლებიც განათლების სფეროში ბრენდს წარმოადგენენ. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიუხედავად აღნიშნულისა, დაწესებულებამ სცადა ამ კუთხით ნაბიჯის გადადგმა და რეგიონული განვითარების რესურსცენტრთან (არასამთავრობო ორგანიზაცია) მემორანდუმი გააფორმა. შეთანხმების საფუძველზე, როგორც მხარემ განაცხადა, ორგანიზაცია სკოლის მოსწავლეებისთვის საზაფხულო ბანაკების ფორმატით მეცადინეობების მოწყობას გეგმავს, რაშიც დაწესებულების სტუდენტებიც ჩაერთვებოდნენ.

თავმჯდომარემ დაწესებულების მიერ ნახსენები ორგანიზაციის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, მასთან თანამშრომლობის მოტივაციასთან დაკავშირებით გაკვირვება გამოხატა - ორგანიზაცია ქალაქ სამტრედიაში მდებარეობდა.

საბჭოს წევრმა, ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ, როგორც ფილოლოგი, განხილულ პროგრამას იდეალურად ვერ მიიჩნევდა, თუმცა მხარის მიერ წარმოდგენილი რიგი არგუმენტებისა დამაჯერებლად მიიჩნია. საბჭოს წევრმა ექსპერტებს დასკვნის წარმოების პროცესში მეტი კონკრეტიკისკენ მოუწოდა.

თარგმნის თეორიისა და მთარგმნელობითი პრაქტიკის საგანთან მიმართებაში ნანა გაფრინდაშვილმა აღნიშნა, რომ საყვარელიძის მონოგრაფია, რომელიც ძირითად ლიტერატურად არის მითითებული, არ იყო სახელმძრვანელო, არამედ მონოგრაფია, რომელიც ფაქტობრივად დაუძლეველი იყო ბაკალავრიატის დონისთვის. მეორე სახელმძღვანელოდ ჩაწერილი ფანჯიკის მონოგრაფია კი დაფუძნებული იყო გერმანულ მასალაზე, რის გამოც იგი სტუდენტებისათვის რთულად გასაგები იქნებოდა. გარდა ამისა, საბჭოს წევრის მითითებით, აღნიშნული კურსი ანგლისტიკის სპეციალისტს უნდა წაეკითხა, რა პირობასაც დაწესებულება იმ დროისათვის ვერ აკმაყოფილებდა.

17. შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის“ სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	სტომატოლოგია
განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	დიპლომირებული სტომატოლოგი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0902
კრედიტების რაოდენობა	300

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები საბჭოს გააცნო ექსპერტმა ხათუნა საგანელიძემ:

- საჭიროებს კორექტირებას სასწავლო კურსის „ბიოეთიკის“ მიზანი, სადაც ასახულია, რომ კურსმა სტუდენტს უნდა შეასწავლოს „საკანონმდებლო ბაზა და საერთაშორისო დოკუმენტები, რომლებიც არეგულირებენ სამედიცინო საქმიანობას და ჯანდაცვის პოლიტიკას. ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაცვა, დაავადების პრევენცია, მოვლა და რეაბილიტაცია“.
- სასწავლო სილაბუსში „ორთოპედიული სტომატოლოგია 6“ საკონტაქტო საათები რაოდენობა არ ემთხვევა თემატიკით გაწერილ საათების რიცხვს.
- „სამედიცინო ფსიქოლოგიის“ სასწავლო კურსის თემატიკაში უხვად არის შეტანილი ფსიქიატრიისა და ფსიქოთერაპიის თემები (პროცენტულად უფრო მეტი, ვიდრე ფსიქოლოგიის). ამდენად, სასურველია სასწავლო კურსის სახელწოდება შეიცვალოს და ეწოდოს „სამედიცინო ფსიქოლოგია და ფსიქიატრია“.
- ვინაიდან სასწავლო კურსი „ნევროლოგია, ნეიროსტომატოლოგია“ არ შეიცავს თემატიკებს ნეიროსტომატოლოგიის შესახებ და არც მიზანში არ არის გაწერილი რაიმე შედეგი ამ მიმართულებით, სასურველი სახელწოდებიდან იქნას ამოღებული „ნეიროსტომატოლოგია“.
- სასწავლო კურსის „შინაგანი სნეულებები 2“ გაწერილი თემატიკა ზუსტად იმეორებს სასწავლო კურსს „შინაგანი სნეულებები 1“ და ნაწილობრივ „შინაგან სნეულებათა პროპედევტიკის“ თემატიკებს. სასურველია გადაიხედოს ამ სასწავლო კურსის თემები.
- „ინგლისური ენა 1 (A 2.1)“, “ინგლისური ენა 2 (A 2.2)“ სასწავლო კურსის სილაბუსში არ არის წარმოდგენილი აქტივობების სემესტრული შეფასების კომპონენტი, რომელიც შეიცავს 0-30 ქულას, შესაბამისად, შეფასების ჯამი ვერ შეადგენს 100 ქულას“.
- რეკომენდებულია, ჩასწორდეს სილაბუსებში ცოდნის შეფასების არსებული ჩანაწერი, რომ დასკვნით გამოცდაზე დასშვები მინიმალური ქულა შეადგენს 21-ს. დასკვნით გამოცდაზე 15 ან ნაკლები ქულით შეფასების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს, ერთხელ გავიდეს დამატებით გამოცდაზე; თუ დასკვნით გამოცდაზე სტუდენტი შეფასდა 15 ქულაზე მეტით, მაგრამ მისი შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამი შეადგენს -ის ქულას, ასეთ შემთხვევაში, სტუდენტს ეძლევა დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება“. აღნიშნული ფორმულირება ბუნდოვანია და ინფორმაცია წინააღმდეგობაშია ერთმანეთთან.
- რეკომენდებულია განახლდეს პროგრამაში მონაწილე პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- სასურველია საფანტომო კაბინეტი შეივსოს სასწავლო მულაჟებით.
- სასურველია უნივერსიტეტის სტომატოლოგიური კლინიკა აღჭურვილი იყოს თანამედროვე სტომატოლოგიური იარაღითა და მასალით.

ექსპერტის თქმით რეკომენდაციების უმრავლესობა ვიზიტის დროსვე გაითვალისწინა და გაასწორა დაწესებულებამ. შინაგანი სნეულებების პირველ და მეორე სილაბუსებთან მიმართებით აღნიშნა, რომ ექსპერტებს ტექნიკური შეცდომის გამო, იდენტური სილაბუსები მიეწოდათ, რაც გახდა სწორედ არსებული გაუგებრობის მიზეზი. ფანტომებთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ სასწავლო წლის დასაწყისისათვის ინსტრუმენტებით შევსების პროცესი დასრულებული იქნებოდა. შესწორების მიზნით, ექსპერტმა აქვე დაურთო, რომ საუბარი ეხებოდა არა ფანტომებს, არამედ ანატომიურ მულაჟებს შესაბამისი სასწავლო კურსისათვის.

დავით კახნიაშვილმა შენიშნა, რომ ბიოეთიკის სასწავლო კურსი საკანონმდებლო ბაზის შესწავლას არ ითვალისწინებდა და მისთვის გაუგებარი იყო თუ კონკრეტულად რას გულისხმობდა ექსპერტი კორექტირების საჭიროებაში. ექსპერტმა საბჭოს პასუხად განუმარტა, რომ კურსის სასწავლო თემატიკას საკითხების განხილვა დაემატა.

დავით კახნიაშვილი ასევე დაინტერესდა, შეუნარჩუნდა თუ არა სამედიცინო ფსიქოლოგიის სასწავლო კურსს რეკომენდაციის საფუძველზე შეცვლილი სახელწოდება. ექსპერტმა დაადასტურა აღნიშნული.

საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა, რა საკითხებს მოიცავდა ნეიროსტომატოლოგიის კურსი და რა მოთხოვნის საფუძველზე მიიჩნიეს იგი სტომატოლოგისთვის საჭიროდ. დაწესებულების წარმომადგენელმა პასუხად აღნიშნა, რომ კურსის შინაარსში სამწვერა ნერვის ნევრალგია იყო ჩაფიქრებული. დავით კახნიაშვილმა დააზუსტა, რომ სამწვერა ნერვის მკურნალობა ნევროპათოლოგის კომპეტენცია იყო და სტომატოლოგიის სფეროს თემატიკას არ წარმოადგენდა, დაწესებულებას კი ნეიროსტომატოლოგიის კურსი ჰქონდა წარმოდგენილი. მხარემ აღნიშნა, რომ ამ კუთხით ცვლილება უკვე განხორციელდა, თუმცა საბჭოს წევრმა შენიშნა, რომ ცვლილება დროული უნდა ყოფილიყო.

18:30 საათზე სხდომაზე გამოცხადდა შესვენება, სხდომა განახლდა 18:50 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო სხდომის მეორე ნახევარში მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია;(მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის პროგრამირებისა და ვებდეველოპმენტის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია; (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ტურიზმის საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე; (მომხრე - 0; წინააღმდეგი-5);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას უარი ეთქვას აკრედიტაციაზე (მომხრე - 0; წინააღმდეგი-5);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე; (მომხრე - 0; წინააღმდეგი-5);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია მონიტორინგის პირობით, ექსპერტთა რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0);
- შპს - სასწავლო უნივერსიტეტ „გორგასლის" სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი-0).

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 19:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

თავმჯდომარე
ირაკლი მაჩაბელი

მდივანი
მაია ჩიხლაძე